



მოხსენება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების
წლიური ანგარიშის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
1. 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები	6
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები	7
2.1 გადასახადები	8
2.2 სხვა შემოსავლები	8
3. არაფინანსური აქტივების კლება	10
4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები	10
4.1 ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულება	13
4.2 გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია	14
4.3 მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი ფინანსური დახმარება	15
4.4 შრომის ანაზღაურება და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	17
4.5 პროგრამული ბიუჯეტირება	18
5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები	19
დანართები	21
დანართი 1. ბიუჯეტის დაზუსტება - მაგალითები	21
დანართი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების პროექტები - მაგალითები	23
დანართი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამები	25
დანართი 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები	27

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები	მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 135-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.
მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები	მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში; ბ) მხარჯავი დაწესებულებების მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები; გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები.
რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებასა და წლიური ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა	რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა	მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.
ზოგადი შეფასება	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული საკითხების გარდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში მომზადებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

შემაჯამებელი მიმოხილვა

რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობების მოცულობა 649,100.0 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები - 726,553.7 ათასი ლარით იყო განსაზღვრული. განხორციელებული ცვლილებებით, შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი 59,650.0 ათასი ლარით (9.2%-ით) გაიზარდა და 708,750.0 ათას ლარს, ხოლო გადასახდელები 38,146.5 ათასი ლარით (5.3%-ით) გაიზარდა და 764,700.2 ათას ლარს გაუტოლდა. წლის ბოლოს შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტობრივმა მაჩვენებელმა, შესაბამისად, 650,587.1 ათასი ლარი (გეგმის 91.8%) და 663,340.0 ათასი ლარი (გეგმის 86.7%) შეადგინა.


სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში წარმოდგენილია შემდეგი მნიშვნელოვანი სისტემური ხასიათის საკითხები. კერძოდ:

- ❖ არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობების გეგმური მაჩვენებლის განსაზღვრის პროცესში შეინიშნება ნაკლოვანებები. კერძოდ, აღნიშნული მუხლი რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით 93,000.0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რომელიც კანონში შესული ცვლილებებით 19,650.0 ათასი ლარით გაიზარდა და ბიუჯეტის საბოლოო კანონით 112,650.0 ათას ლარს გაუტოლდა. ფაქტობრივად მიღებულმა შემოსულობამ 22,835.5 ათასი ლარი შეადგინა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს პრივატიზების სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს, მათ შორის, ქონების საპრივატიზებოდ მომზადების ვადებს და რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსულობის საპროგნოზო მოცულობას.
- ❖ გადასახდელების ათვისების თანაბარზომიერების კუთხით გამოწვევები ისევ არსებობს. კერძოდ, 2024 წლის ბოლოს ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მხოლოდ დეკემბერში დახარჯული თანხის ოდენობამ 153,414.5 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 23.1% შეადგინა. საბიუჯეტო წლის ბოლოს ასიგნებების ათვისების ზრდის ტენდენცია გრძელდება პროგრამების დონეზეც. კერძოდ, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული 57 პროგრამიდან 42-ის შემთხვევაში დეკემბრის თვის ათვისების მაჩვენებელი აჭარბებს 11 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს. ამასთან, 22 პროგრამის შემთხვევაში, დეკემბერში ათვისების მაჩვენებელი ორჯერ და მეტჯერ აღემატება წლის პირველი 11 თვის საშუალო მაჩვენებელს.
- ❖ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ოდენობის შესახებ. ანგარიშში აღნიშნული ინფორმაციის დეტალურად, საქმიანობის ტიპების მიხედვით წარმოდგენა მნიშვნელოვანია კანონმდებლობით განსაზღვრულ ლიმიტებთან შესაბამისობის ანგარიშგებისთვის.
- ❖ პროგრამული ბიუჯეტის მომზადებისა და ანგარიშგების პროცესში შეინიშნება რიგი ნაკლოვანებები, რაც ართულებს პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას. კერძოდ: პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი 24 პროგრამა არ არის ჩაშლილი ქვეპროგრამებად, ზოგიერთ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღწევი კონკრეტული მიზანი ან მიზნობრივი მაჩვენებელი არ აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, პროგრამების/ქვეპროგრამების ნაწილისათვის სრულად არ

ხდება მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება ან შედეგების შეფასება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებთან მიმართებით და სხვ.


- ❖ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღებული სესხების მოცულობა 221,332.2 ათას ლარს შეადგენდა, საიდანაც ათვისებულია 95,084.9 ათასი ლარი (ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხის 43 %). კერძოდ, საკრედიტო რესურსი ვერ იქნა ათვისებული აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალანიერების პროექტისთვის გამოყოფილი სესხის ფარგლებში, სადაც 40.0 მლნ ევროს მოცულობის სესხიდან ათვისებულია 13.3 მლნ ევრო და აჭარის მყარი ნარჩენების მართვა - ფაზა II ფარგლებში, სადაც 19.0 მლნ ევროს მოცულობის სესხიდან ათვისებულია 2.6 მლნ ევრო. საკრედიტო ხელშეკრულებების შესაბამისად, სესხის აუთვისებელ ნაწილს ერიცხება ვალდებულების გადასახადი.

1. 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები




რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობების მოცულობა 649,100.0 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები - 726,553.7 ათასი ლარით იყო განსაზღვრული. განხორციელებული ცვლილებებით, შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი 59,650.0 ათასი ლარით (9.2%-ით) გაიზარდა და 708,750.0 ათას ლარს, ხოლო გადასახდელები 38,146.5 ათასი ლარით (5.3%-ით) გაიზარდა და 764,700.2 ათას ლარს გაუტოლდა. წლის ბოლოს შემოსულობებისა და გადასახდელების ფაქტობრივმა მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 650,587.1 ათასი ლარი (გეგმის 91.8%) და 663,340.0 ათასი ლარი (გეგმის 86.7%) შეადგინა.

დიაგრამა 1. 2024 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულება კვარტალური განწერით განსაზღვრულ გეგმებთან



დიაგრამა 2. შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის ნაშთის ყოველთვიური დინამიკა - 2024 წ. (ათასი ლარი)



თვეების მიხედვით შემოსულობების მაჩვენებლები ძირითადად აღემატება გადასახდელების მაჩვენებლებს. შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციების მიუხედავად, დეკემბერში ათვისებული გადასახდელების შედეგად, ბიუჯეტის ნაშთის მოცულობა 55,990.7 ათასი ლარიდან წლის ბოლოს 43,237.8 ათას ლარამდე შემცირდა.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსავლების პროგნოზი 556,100.0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა. მეორე კვარტალში დაფიქსირებული ეკონომიკური აქტივობის გათვალისწინებით, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში ივლისში განხორციელდა ცვლილება,¹ შედეგად შემოსავლების გეგმური მოცულობა 40,000.0 ათასი ლარით (7.2%-ით) გაიზარდა, რაც საგადასახადო შემოსავლების (საშემოსავლო გადასახადის) ზრდამ განაპირობა. 2024 წელს რესპუბლიკურ ბიუჯეტში ფაქტობრივად მოხილიზებულმა შემოსავლებმა 627,751.7 ათასი ლარი შეადგინა და 31,651.7 ათასი ლარით (5.3%-ით) გადააჭარბა რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრულ პროგნოზს. გადაჭარბებით, 106%-ით შესრულდა „გადასახადების“ კომპონენტი, ხოლო „სხვა შემოსავლები“ შესრულდა 87 %-ით.

ცხრილი 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები (ათასი ლარი)


შემოსავლების კომპონენტები	2023 წლის ფაქტი	2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი		2024 წლის ფაქტი	2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება დამტკიცებულ გეგმასთან (%)	
		საწყისი კანონი	საბოლოო კანონი		საწყისი კანონი	საბოლოო კანონი
გადასახადები	482,889.9	535,000.0	575,000.0	609,385.6	113.9%	106 %
გრანტები	276.9	-	-	-	-	-
სხვა შემოსავლები	22,196.9	21,100.0	21,100.0	18,366.0	87%	87 %
შემოსავლები	505,363.8	556,100.0	596,100.0	627,751.7	112.9%	105.3%

¹ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, N95-რს, 19 ივლისი 2024 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190040000.30.056.016116.

2.1 გადასახადები

შემოსავლების სტრუქტურაში უდიდესი წილი გადასახადებზე, კერძოდ, საშემოსავლო გადასახადზე მოდის და მთლიანი შემოსავლების 97.1%-ს შეადგენს. ხაზინის მონაცემებით, საშემოსავლო გადასახადის სახით 2024 წელს რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 609,385.6 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 126,495.7 ათასი ლარით (26.2%-ით) მეტია. გადასახადების შესრულებამ რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით განსაზღვრულ პროგნოზს 13.9%-ით (74,385.6 ათასი ლარით), ხოლო საბოლოო კანონს 6 %-ით (34,385.6 ათასი ლარით) გადააჭარბა.

დიაგრამა 3. საშემოსავლო გადასახადი 2020-2024 წლებში (ათასი ლარი)



დიაგრამიდან ჩანს, რომ ბოლო წლებში მზარდია საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებული საბიუჯეტო სახსრების მოცულობა.

2.2 სხვა შემოსავლები

2024 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით სხვა შემოსავლების წლიური გეგმა 21,100.0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, ხოლო ფაქტობრივად მობილიზებულმა თანხამ 18,366.0 ათასი ლარი, გეგმის 87 % შეადგინა.


ცხრილი 2. რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები (ათასი ლარი)

სხვა შემოსავლების კომპონენტები	2023 წლის ფაქტი	2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონი	2024 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება (%)
შემოსავლები საკუთრებიდან	15,055.2	15,632.0	12,573.1	-3,058.9	80.4%
პროცენტები	11,915.3	14,706.1	10,770.8	-3,935.3	73.2%
დივიდენდები	1,772.5	-	0.0	-	
რენტა	1,367.3	925.8	1,802.3	876.5	194.7%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	808.3	448.0	1,634.3	1,186.2	364.8%
ჯარიმები, სანქციები და საურავები	10.9	20.0	8.9	-11.1	44.6%
ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	6,322.6	5,000.0	4,149.8	-850.2	83 %
სულ სხვა შემოსავლები:	22,196.9	21,100.0	18,366.0	-2,734.0	87 %

წარმოდგენილი ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას სხვა შემოსავლების ცალკეული კომპონენტის ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებით მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულების მიზეზებზე. მიუხედავად იმისა, რომ **რენტის** კომპონენტში 2023 წელს ფაქტობრივი შემოსავალი შეადგენდა 1,367.3 ათას ლარს, 2024 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 925.8 ათასი ლარის ნიშნულზე, 2024 წლის ფაქტობრივმა შემოსავალმა კი შეადგინა 1,802.3 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ **რენტის** კომპონენტის პესიმისტური პროგნოზით დაგეგმვაზე აღინიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე. **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის** კომპონენტის შემთხვევაში, 2023 წელს ფაქტობრივი შემოსავალი შეადგენდა 808.3 ათას ლარს, 2024 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 448.0 ათასი ლარის ნიშნულზე, 2024 წლის ფაქტობრივმა შემოსავალმა კი შეადგინა დაგეგმილზე თითქმის 2-ჯერ მეტი - 1,634.3 ათასი ლარი.

ხაზინის მონაცემებით, **პროცენტების** სახით 2024 წელს რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 10,770.8 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1,144.5 ათასი ლარით (9.6%-ით) ნაკლებია და **სხვა შემოსავლების** მთლიანი მოცულობის 58.6%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შემოსავლების მასშტაბურობა დაკავშირებულია რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის და პარალელურად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების მოცულობასთან, ხოლო 2023 წელთან შედარებით 2024 წელს **პროცენტების** სახით მიღებული შემოსავლების კლება განპირობებულია სადეპოზიტო ანგარიშებზე დარიცხული წლიური საპროცენტო სარგებლის შემცირებით.


დიაგრამა 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა (მლნ ლარი)



3. არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობების გეგმური მაჩვენებლის განსაზღვრის პროცესში შეინიშნება ნაკლოვანებები. კერძოდ, აღნიშნული მუხლი რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით 93,000.0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რომელიც კანონში შესული ცვლილებებით 19,650.0 ათასი ლარით (21.1%-ით) გაიზარდა და ბიუჯეტის საბოლოო კანონით 112,650.0 ათას ლარს გაუტოლდა. ფაქტობრივად მიღებულმა შემოსულობამ 22,835.5 ათასი ლარი და თავდაპირველი გეგმის 24.6%, ხოლო საბოლოო გეგმის 20.3% შეადგინა.

დიაგრამა 5. არაფინანსური აქტივების კლების მუხლით ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები 2020-2024 წწ. (ათასი ლარი)



წარმოდგენილ ანგარიშში რესპუბლიკური ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებელსა და ფაქტობრივად მიღებულ შემოსულობას შორის არსებულ მნიშვნელოვან გადახრასთან დაკავშირებით განმარტება წარმოდგენილი არ არის. აღსანიშნავია, რომ შესაბამის სამინისტროს ფორმალიზებული სახით საპრივატიზებო გეგმა არ აქვს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ან/და პირდაპირი მიყიდვის წესით განკარგვის გადაწყვეტილება ძირითადად მიიღება ობიექტის მიმართ ინტერესის გათვალისწინებით. „არაფინანსური აქტივების კლების“ მუხლის დაგეგმვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე აღინიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე.

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს პრივატიზების სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს, მათ შორის, ქონების საპრივატიზებოდ მომზადების ვადებს და რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსულობის საპროგნოზო მოცულობას.

4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები


2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით გადასახდელების წლიური გეგმა 726,553.7 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებებით, გადასახდელების გეგმური მაჩვენებელი ივლისში 38,146.5 ათასი ლარით გაიზარდა და 764,700.2 ათას ლარს გაუტოლდა. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტობრივმა მოცულობამ 663,340.0 ათასი ლარი, გეგმის 86.7% შეადგინა.

გადასახდელების ყველა კომპონენტის ფაქტობრივი მაჩვენებელი ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრული გეგმიდან მცირე გადახრით ხასიათდება, გარდა „სხვა ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლისა, რომლებიც კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელს შესაბამისად, 23.9%-ით და 38.2%-ით ჩამორჩა.

ცხრილი 3. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები და მისი კომპონენტები (ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის ბიუჯეტის კანონი			2024 წლის ფაქტი	2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება (%)		
	საწყისი კანონი ²	საბოლოო კანონი ³	დაზუსტ. გეგმა ⁴		საწყისი კანონი	საბოლოო კანონი	დაზუსტ. გეგმა
ხარჯები	551,156.6	603,583.3	609,137.5	556,881.4	101 %	92.3%	91.4%
შრომის ანაზღაურება	62,784.0	63,118.3	62,559.3	61,141.2	97.4%	96.9%	97.7%
საქონელი და მომსახურება	85,756.0	88,120.8	89,386.0	74,643.7	87 %	84.7%	83.5%
პროცენტი	934.3	2,057.3	2,290.2	1,778.0	190.3%	86.4%	77.6%
სუბსიდიები	15,558.5	17,107.5	19,420.2	16,979.1	109.1%	99.2%	87.4%
გრანტები	263,680.1	298,434.6	307,517.9	277,418.8	105.2%	93 %	90.2%
სოციალური უზრუნველყოფა	39,270.3	47,192.5	58,588.7	58,278.7	148.4%	123.5%	99.5%
სხვა ხარჯები	83,173.4	87,552.2	69,375.2	66,642.1	80.1%	76.1%	96.1%
არაფინანსური აქტივების ზრდა	156,112.5	141,387.9	136,066.5	87,361.2	56 %	61.8%	64.2%
ვალდებულებების კლება	19,284.6	19,729.1	19,496.2	19,097.3	99 %	96.8%	98 %
გადასახდელები	726,553.7	764,700.2	764,700.2	663,340.0	91.3%	86.7%	86.7%

დიაგრამა 6. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების სტრუქტურა 2020-2024 წწ. (პროცენტი)



² „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, N84-III, 8 დეკემბერი 2023 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190040000.30.056.016113.

³ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი, N95-რს, 19 ივლისი 2024 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190040000.30.056.016116.

⁴ რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილებისა და ცვლილებების საფუძველზე კორექტირებული ბიუჯეტი. ძირითადად ცვლილებები განხორციელებულია მესამე-მეოთხე კვარტალში, მათ შორის, მეოთხე კვარტალში - 9,035.0 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ გადასახდელების ათვისების თანაბარზომიერების კუთხით გამოწვევები ისევ არსებობს. კერძოდ, 2024 წლის ბოლოს ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მხოლოდ დეკემბერში დახარჯული თანხის ოდენობამ 153,414.5 ათასი ლარი, მთლიანი გადასახდელების 23.1% შეადგინა. შედეგად, დეკემბერში ათვისებული ასიგნებები, 2024 წლის 11 თვის გადასახდელების საშუალოთვიურ მაჩვენებელზე 230.9%-ით მეტია.⁵

ცხრილი 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები და მისი კომპონენტები (ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2024 წლის 11 თვის ფაქტი	2024 წლის დეკემბრის ფაქტი	2024 წლის 11 თვეში საშუალო ათვისება	დეკემბრის მაჩვენებლის მეტობა 11 თვის საშუალო მაჩვენებელთან	დეკემბრის მაჩვენებლის მეტობა 11 თვის საშუალო მაჩვენებელთან (%)
ხარჯები	556,881.4	428,170.8	128,710.7	38,924.6	89,786.1	230.7%
შრომის ანაზღაურება	61,141.2	53,871.4	7,269.8	4,897.4	2,372.4	48.4%
საქონელი და მომსახურება	74,643.7	61,629.4	13,014.3	5,602.7	7,411.7	132.3%
პროცენტი	1,778.0	1,718.6	59.4	156.2	-96.8	-62 %
სუბსიდიები	16,979.1	13,143.0	3,836.2	1,194.8	2,641.3	221.1%
გრანტები	277,418.8	192,586.1	84,832.7	17,507.8	67,324.9	384.5%
სოციალური უზრუნველყოფა	58,278.7	54,235.1	4,043.6	4,930.5	-886.8	-18 %
სხვა ხარჯები	66,642.1	50,987.3	15,654.7	4,635.2	11,019.5	237.7%
არაფინანსური აქტივების ზრდა	87,361.2	63,317.3	24,043.9	5,756.1	18,287.8	317.7%
ვალდებულებების კლება	19,097.3	18,437.4	659.9	1,676.1	-1,016.3	-60.6%
გადასახდელები	663,340.0	509,925.5	153,414.5	46,356.9	107,057.6	230.9%

2024 წლის დეკემბერში „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლებით ათვისებული რესურსის მოცულობა 11 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს შესაბამისად, 230.7%-ით და 317.7%-ით აჭარბებს, ხოლო „ვალდებულებების კლების“ მუხლით ათვისებული რესურსის მოცულობა 11 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს 60.6%-ით ჩამორჩება.

ფისკალური წლის ბოლოს გადასახდელების მოცულობითი ზრდა ძირითადად გამოწვეულია პირველ სამ კვარტალში ათვისებული რესურსის წლის ბოლოს აკუმულირებით, რამაც ბოლო კვარტალში გეგმაზე გადაჭარბებული ხარჯვა გამოიწვია. კერძოდ, პირველ სამ კვარტალში გადასახდელების შესრულების მაჩვენებელი პერიოდის დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრულ გეგმებს, შესაბამისად, 40.9%-ით, 14.2%-ითა და 15.1%-ით ჩამორჩა, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 110,251.3 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხის ნაწილი დაიხარჯა მეოთხე კვარტალში, შედეგად, გადასახდელებმა მეოთხე კვარტლის გეგმას 3.5%-ით (8,891.1 ათასი ლარით) გადააჭარბა.

ამ მიმართულებით ძირითად გამოწვევას წარმოადგენს „გრანტების“ მუხლით გაწეული გადასახდელები, რომელთა მნიშვნელოვანი ზრდა დაკავშირებულია 2024 წლის დეკემბერში

⁵ 2022 და 2023 წლების ანალოგიურმა მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 190.1% და 260.4% შეადგინა.

ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარებების მოცულობის ზრდასთან. კერძოდ, დეკემბერში ათვისებულმა ასიგნებებმა 11 თვის გადასახდელების საშუალოთვიურ მაჩვენებელს 67,324.9 ათასი ლარით გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტები ახორციელებენ სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტს, რომლებშიც გადახდის ვალდებულება ძირითადად წლის ბოლოს დადგა.

საბიუჯეტო წლის ბოლოს ასიგნებების ათვისების ზრდის ტენდენცია გრძელდება პროგრამების დონეზეც. კერძოდ, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებული 57 პროგრამიდან 42-ის შემთხვევაში (პროგრამების საერთო რაოდენობის 73.7%) დეკემბრის თვის ათვისების მაჩვენებელი აჭარბებს 11 თვის საშუალოთვიურ მაჩვენებელს. ამასთან, 22 პროგრამის შემთხვევაში, დეკემბერში ათვისების მაჩვენებელი ორჯერ და მეტჯერ აღემატება წლის პირველი 11 თვის საშუალო მაჩვენებელს.

4.1 ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ბიუჯეტის გადასახდელების დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიზით საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში ვლინდება ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებული სისტემური ხასიათის ხარვეზები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ხარჯთაღრიცხვის ხშირ ცვლილებებსა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამების არსებობაში.

საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხშირად ახორციელებენ რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებების გადანაწილებას, განსაკუთრებით ქვეპროგრამებისა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ მხარჯავი დაწესებულებები აკმაყოფილებენ საბიუჯეტო კოდექსით ამ მიმართულებით დადგენილ ლიმიტს,⁶ საყურადღებოა მათ მიერ პროგრამებს/ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილების მასშტაბურობა და სიხშირე.⁷ კერძოდ, 2024 წელს განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების ჯამური მოცულობა (პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის) 16,908.1 ათას ლარს შეადგენს.⁸

საბიუჯეტო ორგანიზაციებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად, ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებთან დაკავშირებით იდენტიფიცირებულ იქნა შემდეგი ნაკლოვანებები (დეტალურად იხ. დანართი 1. ბიუჯეტის დაზუსტება – მაგალითები):

⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 92, პუნქტი 3: „მხარჯავი დაწესებულების პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს მხარჯავი დაწესებულებისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს“.

⁷ ძირითადად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სისტემა (33 შემთხვევა, 8,206.0 ათასი ლარი), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემა (46 შემთხვევა, 3,259.6 ათასი ლარი).

⁸ არ მოიცავს დროებითი შრომისუნარობისა და ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შევსებულების ანაზღაურების მიზნით „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან „სოციალურ უზრუნველყოფის“ მუხლში გადატანილ თანხებს.

- ❖ ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში დაგეგმილია ჭარბი ოდენობით რესურსი და აუთვისებელი თანხები წლის განმავლობაში ნაწილდება სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებზე;
- ❖ წლის განმავლობაში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ თანხები მიმართულია ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება.

ბიუჯეტის გადასახდელების აგრეგირებულ დონეზე შესრულების შედარებით მაღალი მაჩვენებლის მიუხედავად, ცალკეული პროგრამები დაბალი ათვისებით ხასიათდება. კერძოდ, 15 პროგრამის (პროგრამების საერთო რაოდენობის 26.3%) შემთხვევაში ათვისებული იქნა ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრული გეგმის 75%-ზე ნაკლები. ჯამურად, პროგრამების ფარგლებში 2024 წელს ათვისებულმა თანხამ 66,519.7 ათასი ლარი შეადგინა.

4.2 გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით, 2024 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებული გეგმის შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (99.4%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (67.8%).

ცხრილი 5. გადასახდელების შესრულება (ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის დაზუსტებული გეგმა	2024 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება (%)
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	7,519.3	6,663.9	855.4	88.6%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	4,347.1	4,035.7	311.5	92.8%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	5,763.2	4,607.1	1,156.1	79.9%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	127,263.4	86,274.1	40,989.3	67.8%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	142,636.7	118,375.6	24,261.2	83 %
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	71,645.0	71,202.4	442.6	99.4%
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	32,014.6	28,938.5	3,076.0	90.4%
საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	373,510.8	343,242.7	30,268.1	91.9%
ჯამი:	764,700.2	663,340.0	101,360.2	86.7%

2024 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან აუთვისებელმა თანხამ ჯამურად შეადგინა 101,360.2 ათასი ლარი, საიდანაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წილი 40,989.3 ლარს შეადგენს. აღნიშნული ძირითადად გამოწვეულია შემდეგით:

- ❖ „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის“ პროგრამაში აუთვისებელი დარჩა 19,103.5 ათასი ლარი. მოპოვებული ინფორმაციით, ბიუჯეტის შესრულების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია კონტრაქტორი კომპანიების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების გამო, დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დაუსრულებლობით, ასევე რიგ ღონისძიებებზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერები არ შედგა.
- ❖ „სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის“ პროგრამაში აუთვისებელი დარჩა 12,703.6 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში, 2024 წელს დაგეგმილი იყო ქალაქ ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლებაში ე.წ „ოცნების ქალაქის“ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მეორე ეტაპის მშენებლობის დაწყება. სახელმწიფო შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოების დროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, რის გამოც ელექტრონული ტენდერის გამოცხადება 2024 წლის დეკემბრამდე ვერ მოხერხდა. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა 2025 წლის 5 თებერვალს.⁹
- ❖ „აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე“ ქვეპროგრამაში აუთვისებელი დარჩა 3,331.5 ათასი ლარი. დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ ბიუჯეტის შესრულების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად დაკავშირებულია საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებზე მდგომარეობის გაუარესების გამო (ომი უკრაინაში, საომარი მოქმედებები ახლო აღმოსავლეთში), სამიზნე ტურისტულ ბაზრებზე დაგეგმილ კამპანიებში საჭირო ცვლილებების განხორციელებასთან.

საერთო დანიშნულების რესპუბლიკურ გადასახდელებში აუთვისებელი დარჩა 30,268.1 ათასი ლარი, საიდანაც 26,757.9 ათასი ლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მიერ აუთვისებელი ფინანსური დახმარებაა.

4.3 მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი ფინანსური დახმარება

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გაწეული **ხარჯების** საკასო შესრულება 52,256.0 ათასი ლარით ჩამორჩება დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმურ მაჩვენებელს, რაც ძირითადად დაკავშირებულია „გრანტების“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლებთან, სადაც ჯამში აუთვისებელი დარჩა 44,841.4 ათასი ლარი. მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარებიდან აუთვისებელი დარჩა 26,757.9 ათასი ლარი.

⁹ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N15, 15/02/2025 (NAT240025327).

ცხრილი 6. მუნიციპალიტეტებზე გადასაცემი ფინანსური დახმარება (ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი			2024 წლის ფაქტი	2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულება (%)		
		საწყისი კანონი	საბოლოო კანონი	დაზუსტ. ბიუჯეტი		საწყისი კანონი	საბოლოო კანონი	დაზუსტ. ბიუჯეტი
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება	119,876.1	137,100.0	160,393.9	160,393.9	147,119.1	107.3%	91.7%	91.7%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	65,274.0	71,470.0	89,008.1	89,008.1	83,323.6	116.6%	93.6%	93.6%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	16,543.2	20,300.0	22,095.8	22,095.8	18,952.2	93.4%	85.8%	85.8%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	14,666.0	18,600.0	21,100.0	21,100.0	20,732.9	111.5%	98.3%	98.3%
ქედის მუნიციპალიტეტი	6,754.9	7,150.0	7,150.0	7,150.0	6,104.2	85.4%	85.4%	85.4%
შუახევის მუნიციპალიტეტი	7,568.3	9,240.0	10,000.0	10,000.0	8,429.3	91.2%	84.3%	84.3%
ხულოს მუნიციპალიტეტი	9,069.7	10,340.0	11,040.0	11,040.0	9,577.0	92.6%	86.7%	86.7%
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება	86,697.5	115,600.0	127,393.6	136,049.8	122,566.6	106.0%	96.2%	90.1%
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი	68,550.8	105,530.0	112,991.9	113,215.8	102,209.2	96.9%	90.5%	90.3%
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	7,627.9	5,700.0	7,904.2	9,801.0	8,206.6	144.0%	103.8%	83.7%
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	3,311.8	400.0	1,062.5	3,051.5	2,933.1	733.3%	276.1%	96.1%
ქედის მუნიციპალიტეტი	1,575.3	350.0	1,100.0	2,161.7	2,076.7	593.3%	188.8%	96.1%
შუახევის მუნიციპალიტეტი	2,386.0	760.0	1,050.0	2,485.0	2,252.3	296.4%	214.5%	90.6%
ხულოს მუნიციპალიტეტი	3,245.7	2,860.0	3,285.0	5,334.7	4,888.6	170.9%	148.8%	91.6%
ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი დახმარება	206,573.7	252,700.0	287,787.5	296,443.7	269,685.8	106.7%	93.7%	91.0%

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები შესრულების დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა. პროექტების შესრულების შეფერხების მიზეზების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა პროექტების სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე არსებული გამოწვევები, რაც უკავშირდება სხვადასხვა კონტროლირებად და არაკონტროლირებად ფაქტორს, მათ შორის, მუნიციპალიტეტების მიერ პროექტების მართვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებს. შეფერხების მიზეზებს შორის აღსანიშნავია:

- ❖ პროექტის დაგეგმვის ეტაპზე არსებული ხარვეზები, მათ შორის, პროექტთან დაკავშირებული შეზღუდვების არასათანადო შეფასება, რაც შემდგომში იწვევს მასში ცვლილებების განხორციელების საჭიროებას.
- ❖ კონტრაქტორი კომპანიების მიერ სამუშაოების შესრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება (მათ შორის, სამუშაოების დაგვიანებით ან/და შეფერხებით შესრულება), რაც შეუძლებელს ხდის პროექტების წინასწარ განსაზღვრულ ვადებში დასრულებას, ცალკეულ შემთხვევებში კი ხელშეკრულების შეწყვეტას იწვევს.

- ❖ არშემდგარი ტენდერები, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს როგორც პრეტენდენტების არარსებობით, ასევე სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვაში არსებული ხარვეზებით.
- ❖ სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდის კლიმატურ ან სხვა პირობებთან, მათ შორის, საკურორტო სეზონთან, მისადაგება და სხვ. (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართი 2 – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების პროექტები – მაგალითები).

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, ეფექტიანი მონიტორინგი განხორციელდეს ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადაცემული კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარების დროულად ათვისების მიმართულებით, გამოკვლეულ იქნეს ბიუჯეტის შეუსრულებლობის კონკრეტული მიზეზები და გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები.

4.4 შრომის ანაზღაურება და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება

2024 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტიდან საჯარო დაწესებულებებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში დასაქმებულთა ხელფასებზე გაწეული ხარჯი 81,602.4 ათასი ლარია. მათ შორის „შრომის ანაზღაურება“ – 61,141.2 ათასი ლარი (8,905.4 ათასი ლარით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს), ხოლო შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება – 20,461.2 ათასი ლარი (3,623.4 ათასი ლარით აღემატება 2023 წლის მაჩვენებელს).

ცხრილი 7. შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები (ათასი ლარი)

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	ზრდა/კლება	ზრდა/კლება %
შრომის ანაზღაურება	52,235.7	61,141.2	8,905.4	17 %
თანამდებობრივი სარგო	49,883.6	57,934.8	8,051.2	16.1%
ჯილდო/პრემია	2,069.7	2,486.0	416.2	20.1%
დანამატი	282.4	720.3	438.0	155.1%
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება	16,837.8	20,461.2	3,623.4	21.5%
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგო	16,283.4	19,566.9	3,283.5	20.2%
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ჯილდო/პრემია	501.8	727.5	225.7	45 %
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა დანამატი	52.0	166.8	114.8	220.6%
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა პონორარი	0.6		-0.6	
სულ ხელფასი:	69,073.5	81,602.4	12,528.8	18.1%

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ისევე, როგორც წინა წლებში, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესახებ.

➤ მიზანშეწონილია, რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შესახებ, დასაქმების ტიპის მიხედვით, რაც შესაძლებელს გახდის სხვადასხვა ფუნქციის მქონე თანამშრომლების რაოდენობების კანონმდებლობით განსაზღვრულ ლიმიტებთან შესაბამისობის ანგარიშგებას.

4.5 პროგრამული ბიუჯეტირება

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონს თან ერთვის „პროგრამული ბიუჯეტის დანართი“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პრიორიტეტების ფარგლებში განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი/მიღწეული შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორების შესახებ დანართში წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი, იგი ჯერ კიდევ საჭიროებს შემდგომ სრულყოფასა და გაუმჯობესებას. ანალიზის შედეგად გამოვლინდა სისტემური ხასიათის ნაკლოვანებები, რაც ართულებს, რიგ შემთხვევებში კი შეუძლებელს ხდის ანგარიშგების ეტაპზე პროგრამების ეფექტიანობის შეფასებას. კერძოდ:

- 1) პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი 57 პროგრამიდან 24 პროგრამა არ არის ჩაშლილი ქვეპროგრამებად (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართი 3 – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამები);
- 2) რიგ შემთხვევებში არ არის განსაზღვრული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მისაღწევი კონკრეტული მიზანი, ან მიზნობრივი მაჩვენებელი არ აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით¹⁰ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც ანგარიშგების ეტაპზე ართულებს აღნიშნული პროგრამის/ქვეპროგრამის ეფექტიანობის შეფასებას;¹¹
- 3) პროგრამების/ქვეპროგრამების ნაწილისათვის სრულად არ ხდება მიღწეული შედეგების შესახებ ანგარიშგება ან შედეგების შეფასება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებთან მიმართებით;¹²
- 4) პროგრამული ბიუჯეტის დანართში წარმოდგენილი ინდიკატორების 100%-ის შემთხვევაში არ ხდება ცდომილების ალბათობისა და შესაძლო რისკების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა;
- 5) ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის შემთხვევაში მიღწეული შედეგების წარმოდგენა ხდება დაგეგმვის ეტაპზე განსაზღვრულ მაჩვენებლებთან შეუსაბამოდ, განსხვავებული სახით/ფორმატით, რაც ართულებს ან შეუძლებელს ხდის დაგეგმილი და მიღწეული შედეგების ერთმანეთთან შედარებას.¹³

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

¹¹ „ქალაქშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა“ (04 01 03)); ქვეპროგრამა „აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება“ (04 01 06 01); პროგრამა „რეკრეაციული ადგილების მოვლა-შენახვა“ (04 03).

¹² ქვეპროგრამა „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა“ (04 14 02 05); ქვეპროგრამა „ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა“ (04 13 03 05).

¹³ ქვეპროგრამა „რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი“ (04 01 02 02); ქვეპროგრამა „ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის და განვითარების ხელშეწყობა“ (04 03 02); ქვეპროგრამა „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა“ (05 03 07).

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად პროგრამული ბიუჯეტი მოიცავს აგრეთვე ინფორმაციას საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ.¹⁴ 2024 წელს დამტკიცდა განახლებული „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგია“,¹⁵ რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს ყველა საინვესტიციო/კაპიტალური პროექტის მართვა ერთიანი რესპუბლიკური ბიუჯეტის დონეზე, დაფინანსების წყაროს მიუხედავად.¹⁶ მეთოდოლოგია ახდენს პროექტების კატეგორიზაციას მათი მოცულობების მიხედვით,¹⁷ რის საფუძველზეც განსაზღვრავს შესაბამის მოთხოვნებს. ასევე მეთოდოლოგია აწესებს მოთხოვნას საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების პერიოდული ანგარიშების მომზადებისა და ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ/წლიურ ანგარიშებთან ერთად წარდგენის თაობაზე.¹⁸ გამომდინარე იქიდან, რომ 2024 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტს არ ერთვის „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შესახებ“ დანართი, არც შესაბამისი ანგარიში არის წარმოდგენილი.

➤ პროგრამული ბიუჯეტირების შემდგომი განვითარებისთვის, მიზანშეწონილია, შემუშავდეს სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი იქნება რეფორმის ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული აქტივობები შესაბამისი ვადებითა და პასუხისმგებელი უწყებებით. მიზნობრივი ნიშნულების არსებობა გაზრდის ამ პროცესში ჩართული საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულების ხარისხს და ხელს შეუწყობს რეფორმის მიმდინარეობის მონიტორინგს.

5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები

2024 წელს რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხების მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 20,875.3 ათასი ლარი, რაც წლიური დაზუსტებული გეგმის 95.8%-ს შეადგენს.

ცხრილი 8. რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები (ათასი ლარი)

დასახელება	2024 წლის გეგმა	2024 წლის ფაქტი	გადახრა	შესრულება (%)
კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის (KfW) მიღებული სესხი	14,514.1	13,658.7	855.4	94.1%
ვალდებულების კლება	12,730.9	12,362.8	368.2	97.1%
პროცენტი	1,783.2	1,296.0	487.2	72.7%
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი	2,027.8	1,972.0	55.7	97.3%
ვალდებულების კლება	1,520.8	1,490.1	30.7	98 %
პროცენტი	507.0	482.0	25.0	95.1%
სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დაბრუნება	5,244.5	5,244.5	0	100%
ვალდებულების კლება	5,244.5	5,244.5	0	100%
ჯამი:	21,786.4	20,875.3	911.1	95.8%

¹⁴ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 9, პუნქტი 2.

¹⁵ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“.

¹⁶ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 3, პუნქტი „ა“.

¹⁷ მცირე - 5 მლნ ლარზე მცირე ღირებულების, საშუალო - 5 მლნ ლარიდან 20 მლნ ლარამდე ღირებულების, მსხვილი - 20 მლნ ლარზე მეტი ღირებულების. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, დანართი, მუხლი 2, პუნქტი 3.

¹⁸ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 თებერვლის დადგენილება №65 „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი 14, პუნქტი 4.

ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რესპუბლიკური ბიუჯეტის მიერ აღებული სესხების მოცულობა 221,332.2 ათას ლარს შეადგენდა,¹⁹ საიდანაც ათვისებულია 95,084.9 ათასი ლარი (ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხის 43 %). კერძოდ, საკრედიტო რესურსი ვერ იქნა ათვისებული „აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალანიერების პროექტისთვის გამოყოფილი სესხის ფარგლებში, სადაც 40.0 მლნ ევროს მოცულობის სესხიდან ათვისებულია 13.3 მლნ ევრო და აჭარის მყარი ნარჩენების მართვა - ფაზა II ფარგლებში, სადაც 19.0 მლნ ევროს მოცულობის სესხიდან ათვისებულია 2.6 მლნ ევრო. საკრედიტო ხელშეკრულებების შესაბამისად, სესხის აუთვისებელ ნაწილს ერიცხება ვალდებულების გადასახადი (დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 4-ში – რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები).

➤ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, უზრუნველყოფილ იქნეს პროექტის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებების იდენტიფიცირება, ხარვეზებზე დროული რეაგირება და მოზიდული ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

¹⁹ 1 ევრო = 2.9306 ლარი (ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსი 31/12/2024).

დანართები

დანართი 1. ბიუჯეტის დაზუსტება - მაგალითები

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის შესახებ მაჩვენებლები (ათასი ლარი)²⁰

ორგ. კოდი	მხარჯავი დაწესებულების დასახელება	ხარჯთაღრ. ცვლილების ცნობის რაოდენობა	თანხა
01 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	1	70.0
02 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია	2	87.8
03 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა	-	-
04 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	33	8,206.0
05 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	46	3,259.6
06 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	7	3,450.5
07 00	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	4	1,601.3
08 00	საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები	2	232.9
ჯამი:		95	16,908.1

რიგ შემთხვევებში, წლის განმავლობაში ადგილი აქვს თანხების მიმართვას ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება, ასევე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში დაგეგმილია ჭარბი ოდენობით რესურსი და აუთვისებელი თანხები წლის განმავლობაში ნაწილდება სხვადასხვა პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე/საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებზე და სხვ.

❖ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქვეპროგრამის „აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება“ 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრული გეგმა შეადგენდა 1,500.0 ათას ლარს. ბიუჯეტის მოცულობა საანგარიშო წლის ბოლო კვარტალში განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის სამი ცვლილების შედეგად გაიზარდა 869.9 ათასი ლარით და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 2,369.9 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ქვეპროგრამის სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის ივლისის ცვლილების დროს გათვალისწინება. ამასთანავე, ქვეპროგრამის „აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება“ დაფინანსება 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო კანონით 6,320.0 ათასი ლარის ნიშნულზე განისაზღვრა, რომელიც სხვადასხვა ქვეპროგრამაში/ღონისძიებაში თანხების გადატანის შედეგად შემცირდა 2,612.5 ათასი ლარით და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა - 3,707.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ 2,089.1 ათასი ლარი შეადგინა (რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრული გეგმის 33.1%, დაზუსტებული ბიუჯეტის - 56.3%). წარმოდგენილი მასალების ანალიზი მიუთითებს, რომ ბიუჯეტი თავიდანვე დაიგეგმა გარემოებების და შეზღუდვების გათვალისწინებლად, ჭარბი რესურსით.

²⁰ არ მოიცავს დროებითი შრომისუნარობისა და ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების მიზნით „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან „სოციალურ უზრუნველყოფის“ მუხლში გადატანილ თანხებს.

❖ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტის ქვეპროგრამის „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა“ დაფინანსება 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო კანონით 20,656.3 ათასი ლარის ნიშნულზე განისაზღვრა, რომელიც სხვადასხვა ქვეპროგრამიდან თანხების გადმოტანის შედეგად გაიზარდა 1,603.5 ათასი ლარით და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა - 22,259.8 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ 18,506.2 ათასი ლარი შეადგინა (რესპუბლიკური ბიუჯეტის საბოლოო კანონით განსაზღვრული გეგმის 89.6%, დაზუსტებული ბიუჯეტის - 83.1%). შესრულების მაჩვენებლები მიუთითებს, როგორც ბიუჯეტის ჭარბი მოცულობით დაგეგვაზე, ასევე ღონისძიებების დაგეგმვისა და ბაზრის კვლევის ხარვეზებზე. მათ შორის, ერთ-ერთი ცვლილებით, ქვეპროგრამის „გზების რებილიტაცია“ ბიუჯეტის 1,182.8 ათასი ლარით შემცირების ხარჯზე, დაფინანსება ძირითადად მიმართულ იქნა სპეცტანსაცმლისა და მონოლითური ბეტონის შესყიდვის მიზნით, რომლის შესყიდვის საჭიროების განსაზღვრა თავიდანვე იყო შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ ქვეპროგრამის „გზების რეაბილიტაცია“ ფარგლებში გზების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული არაერთი ტენდერი არ შედგა, რამაც წარმოქმნა ეკონომია.

დანართი 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების პროექტები - მაგალითები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით დაფინანსებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების რიგი პროექტები, სადაც ათვისების მაჩვენებელი 85%-ზე ნაკლებია (ლარი; პროცენტი)

N	დასახელება	ფინანსური დახმარება	დაზუსტ. ბიუჯ.	2024 წლის ფაქტი	გადახრა	ბიუჯ. შესრ. %	მუნიციპალიტეტის განმარტება ბიუჯეტის ათვისებლობის მიზეზებზე
1	ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N82-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა	კაპიტალური ტრანსფერი	3,255,387	1,560,711	1,694,676	47.9%	მიმწოდებელმა კომპანიამ სამუშაოები აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, დაკისრებულია პირგასამტეხლო
2	ქ. ბათუმში, ალ. სულაბერიძისა და გ. ბრწყინვალეს ქუჩების კვეთიდან ალ. პუშკინის ქუჩამდე, ალ. პუშკინის ქუჩიდან იმედაშვილის ქუჩამდე და იმედაშვილის ქუჩიდან ბაქოს ქუჩამდე გზის რეაბილიტაცია	კაპიტალური ტრანსფერი	87,298	-	87,298	0%	ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები არ დაწყებულა, რადგან მიმდებარე ქუჩაზე გრძელდება გზის რეაბილიტაციის სამუშაოები
3	თამარ მეფის გამზირზე, მახინჯაურის ცენტრის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	კაპიტალური ტრანსფერი	996,717	413,088	583,629	41.4%	მიმწოდებელ კომპანიას შესრულებულ სამუშაოებზე დოკუმენტაცია არ წარმოდგენია
4	ქ. ბათუმში, რაგბის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები (არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და 2 ახალი სტადიონის და დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა)	კაპიტალური ტრანსფერი	100,000	-	100,000	0%	ტენდერი არ შედგა
5	ქ. ბათუმში, შოთა რუსთაველის ქ. N51-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის -მონიტორინგის და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	კაპიტალური ტრანსფერი	100,000	-	100,000	0%	ტენდერი არ შედგა
6	ქ. ბათუმში, თევდორე მღვდლის ქუჩის N1-დან N114-მდე სანიაღვრე სისტემის მოწყობა	კაპიტალური ტრანსფერი	988,337	154,079	834,258	15.6%	მიმწოდებელმა კომპანიამ სამუშაოები აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, დაკისრებულია პირგასამტეხლო
7	ქ. ბათუმში, ლეხ და მარია კაჩინსკების ქ. N35-დან ადლიის ქუჩის პარალელურად ადლიის ქ. N76-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა	კაპიტალური ტრანსფერი	500,000	44,396	455,604	8.9%	მიმწოდებელმა კომპანიამ სამუშაოები აწარმოა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, დაკისრებულია პირგასამტეხლო
8	ქ. ბათუმში, ახალ ბულვარში სტიქიის შედეგად დაზიანებული საფეხმავლო ბილიკის აღდგენა და ზღვაში გამსვლელი სანიაღვრე კოლექტორების შტორმისგან	კაპიტალური ტრანსფერი	2,365,665	1,226,705	1,138,960	51.9%	დონისძიებით გათვალისწინებული სამუშაოების დაწყების ვადა დაემთხვა აქტიურ ტურისტულ სეზონს, რის გამოც სამუშაოები დროულად არ დასრულდა.

	დამცავი სარეგულაციო კედლების მშენებლობა						
9	ქალაქ ბათუმში, ავარიული სახლების დემონტაჟი-მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაცია	სპეციალური ტრანსფერი	28,338,011	23,639,045	4,698,966	83.4%	მიმწოდებელ კომპანიას შესრულებულ სამუშაოებზე დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია
10	ქალაქ ბათუმში, მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი	სპეციალური ტრანსფერი	8,038,202	4,990,415	3,047,787	62.1%	მიმწოდებელ კომპანიას შესრულებულ სამუშაოებზე დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია
11	ქ. ბათუმში, 2000 კვ.მ წყლის რეზერუარის მშენებლობა და ავგის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ რეზერვუარამდე მკვებავი მაგისტრალისა და წყლის ქსელის მშენებლობა	სპეციალური ტრანსფერი	2,000,000	281,994	1,718,006	14.1%	ლონისძეებით გათვალისწინებული ფასების და გამოცდილების კვლევას დასჭირდა მოსალოდნელოზე მეტი დრო
12	ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარის საკანალიზაციო მაგისტრალური ხაზის მოწყობა	კაპიტალური ტრანსფერი	500,000	-	500,000	0%	შესყიდვა არ განხორციელებულა
13	ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭაბურღილების მოწყობა რეზერვუარით, არსებული ჭაბურღილის მილის გასწორება და ახალი მაგისტრალის დამატება	კაპიტალური ტრანსფერი	500,000	-	500,000	0%	ლონისძეება გათვალისწინებული იქნა ბიუჯეტის კორექტირებით 2024 წლის აგვისტოში. ხელშეკრულება დაიდო 2024 წლის 27 დეკემბერს, პროექტი სრულდება 2025 წელს
14	ქალაქ ქობულეთში სტადიონების მოწყობა/რეაბილიტაცია	კაპიტალური ტრანსფერი	400,000	-	400,000	0%	ლონისძეება გათვალისწინებული იქნა ბიუჯეტის კორექტირებით 2024 წლის აგვისტოში. ტენდერი არ შედგა
15	ქალაქ ქობულეთში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	სპეციალური ტრანსფერი	654,560	405,974	248,586	62.0%	სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრადიენტის დარღვევით მიმდინარეობის გამო, პროექტი დროულად არ დასრულდა
16	ხულოს მუნიციპალიტეტის შუასოფლის დაწყებითი სკოლის მშენებლობა	კაპიტალური ტრანსფერი	100,000	-	100,000	0%	უამინდობისა და ნადრევად მოსული თოვლის გამო 2024 წელს გათვალისწინებული სამუშაოები გადატანილ იქნა 2025 წლისთვის. პროექტი ორწლიანია
17	ხულოში, ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე მდებარე სკვერების რეაბილიტაციისა და სკვერების მიმდებარედ განთავსებული საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების ფასადების კეთილმოწყობა	კაპიტალური ტრანსფერი	100,000	-	100,000	0.0%	უამინდობისა და ნადრევად მოსული თოვლის გამო 2024 წელს გათვალისწინებული სამუშაოები გადატანილ იქნა 2025 წლისთვის. პროექტი ორწლიანია
18	დაბა ქედის კულტურის სახლის რეაბილიტაცია	კაპიტალური ტრანსფერი	300,000	-	300,000	0%	ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით
19	შუახევში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავისა და ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები	სპეციალური ტრანსფერი	119,998	63,940	56,058	53.3%	მიმწოდებლის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო 2024 წელს ხელშეკრულება შეწყდა
ჯამი:			49,444,175	32,780,347	16,663,828	66.3%	

დანართი 3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პროგრამები

(ათასი ლარი, პროცენტი)

კოდი	დასახელება	პროგრამა ჩაშლილი ქვეპროგრამები (კი/არა)	2024 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი	2024 წლის ფაქტი	ბიუჯეტის შესრულება
04 01 02	რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	კი	1,005.9	981.2	97.5%
04 01 03	ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა	კი	5,197.5	3,203.2	61.6%
04 01 04	სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა	არა	16,843.9	4,140.3	24.6%
04 01 05	მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა	არა	100.0	-	0.0%
04 01 06	საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	კი	2,369.9	2,369.9	100.0%
04 03	რეკრეაციული ადგილების მოვლა-შენახვა	კი	14,980.1	13,978.0	93.3%
04 05	დამწყები და განვითარებადი ბიზნესის ხელშეწყობა	არა	99.9	97.9	98.0%
04 06	საფრთხის შემცველი ობიექტებისათვის მომსახურების მიწოდება და მართვა	არა	765.5	598.5	78.2%
04 11	ბიზნეს ინტერესების დაცვა და ექსპორტის ხელშეწყობა	არა	578.6	549.8	95.0%
04 13 01	ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა	კი	2,250.3	1,909.2	84.8%
04 13 02	აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე	კი	9,885.0	6,553.5	66.3%
04 13 03	ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება	კი	6,982.7	5,504.2	78.8%
04 14 02	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	კი	58,525.0	39,421.4	67.4%
05 02	განათლების ხელშეწყობა და ხარისხის გაუმჯობესება	არა	1,705.1	1,651.5	96.9%
05 03	საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	კი	50,641.5	43,431.1	85.8%
05 06	აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	კი	8,669.2	5,801.2	66.9%
05 07	საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა	კი	1,494.4	1,110.1	74.3%
05 08	ზოგადი განათლება	კი	1,807.0	1,551.0	85.8%
05 09	უწყვეტი განათლება	არა	823.7	655.9	79.6%
05 10	პროფესიული და უმაღლესი განათლება	კი	4,118.6	3,157.7	76.7%
05 11	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	არა	8,118.5	8,041.3	99.0%
05 12	სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა	არა	10,085.3	7,602.3	75.4%
05 14 01	კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა	კი	2,283.7	1,351.0	59.2%

05 14 02	კულტურის ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა	არა	206.0	203.8	98.9%
05 14 03	ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა	არა	712.4	521.1	73.1%
05 14 08	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	არა	577.5	285.2	49.4%
05 14 10	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია	კი	7,174.1	4,670.4	65.1%
05 14 11	მუზეუმებისა და გალერეების განვითარება	არა	4,866.8	4,193.6	86.2%
05 14 12	სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა	არა	17,610.6	16,540.4	93.9%
05 14 14	ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა	არა	446.7	433.6	97.1%
05 14 15	კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	არა	1,356.0	-	0%
05 15 02	სპორტის ხელშეწყობა	კი	8,108.7	7,346.1	90.6%
05 17	საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება	კი	3,536.2	3,335.8	94.3%
05 18 06	ახალგაზრდების ინტელექტუალური, კულტურული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა	კი	2,063.9	1,408.4	68.2%
06 02	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	კი	32,614.0	32,592.4	99.9%
06 03	პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა	კი	1,041.6	1,036.9	99.6%
06 04	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	კი	2,501.4	2,365.5	94.6%
06 05	სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია	კი	6,132.4	6,100.1	99.5%
06 06	მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება	კი	12,063.6	11,914.8	98.8%
06 07	შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით	კი	1,374.8	1,363.0	99.1%
06 09	ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა	არა	7,129.8	7,125.4	99.9%
06 10	დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა	კი	1,301.4	1,289.2	99.1%
06 12	მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავმჯდომარე უზრუნველყოფა	კი	3,605.7	3,604.8	100%
07 05	აგროსექტორის მდგრადი განვითარება	კი	337.7	280.0	82.9%
07 07	აგროსერვისის განვითარება რეგიონში	კი	4,372.2	4,126.6	94.4%
07 08	ლაბორატორიული კვლევითი საქმიანობის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა	არა	1,317.3	1,258.4	95.5%
07 09	მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა	კი	3,724.9	3,485.7	93.6%
07 11	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობა	არა	252.3	236.8	93.9%
07 12 02	გარემოსდაცვითი პროგრამა	კი	53.4	53.4	100%
07 12 03	ტყის დაცვა და მოვლა	კი	861.4	857.8	99.6%
07 12 04	საზოგადოების ცნობიერების ამაღლება	კი	39.5	31.6	79.9%
07 12 05	ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები	კი	6,719.6	5,758.5	85.7%
07 12 06	პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები	არა	1,835.0	1,364.7	74.4%
07 12 07	ბათუმის კონცხის წყალქვეშა ფერდის განტვირთვის სამუშაოები	არა	350.0	-	0%
07 13	სამელორაციო სისტემების მართვა	არა	1,811.2	1,491.3	82.3%
07 15	ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა	არა	154.0	153.9	99.9%
07 16	სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	არა	4,737.2	4,711.6	99.5%

დანართი 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები

სესხის დასახელება	სესხის სრული მოცულობა	ათვისებულია 31.12.2024 წლის მდგომარეობით	გადახდილია 2024 წელს		
			ძირითადი	პროცენტი	აუთვისებლობი-სათვის დარიცხული პროცენტი
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხი (აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი)	€ 3,000,000	€ 3,000,000	€ 506,927	€ 44,739	-
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი (კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია)	€ 6,700,000	€ 6,700,000	€ 446,600	€ 42,447	-
გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერით და ევროკავშირის თანადაფინანსებით მიღებული სესხი (აჭარის სოფლების წყალმომარაგება)	€ 40,000,000	€ 13,320,017	€ 3,808,000	€ 330,191	€ 73,502
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი "აჭარის მყარი ნარჩენების მართვა" - ფაზა II	€ 19,000,000	€ 2,600,972		€ 90,490	€ 27,879
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (კანადურ კომპანიასთან გაფორმებული მორიგების ხელშეკრულება)	£ 20,000,000	£ 20,000,000	£ 5,244,483	-	-
ჯამი	€ 68,700,000	€ 25,620,989	€ 4,761,526	€ 507,867	€ 101,380
	£ 20,000,000	£ 20,000,000	£ 5,244,483	-	-